# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ109. 109263201**

თარიღი:**16/11/2026**

**დმანისის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, 91-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და დმანისის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი (თანდართული), გამოქვეყნდეს საჯაროდ განსახილველად და განთავსდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე - www.dmanisi.gov.ge.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად გადაეცეს:

ა) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას;

ბ) საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას;

გ) საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას;

დ) საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას;

ე) საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას;

ვ) საკრებულოს ფრაქციას ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო";

ზ) საკრებულოს ფრაქციას „ხალხის ძალა“;

თ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს.

3. დმანისის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართოს 2026 წლის 20 ნოემბერს 12:00 საათზე, მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქუჩა №41, მერიის საკონფერენციო დარბაზი.

4. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული კითხვებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 2026 წლის 20 ნოემბრამდე, საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქუჩა №41, ან საკრებულოს ელექტრონულ მისამართზე: dmanisissakrebulo@gmail.com.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

